

# საბრძოლველი

საორტული გაზეტი

სუთხაბათი 16 იანვარი 2003 №3 (1774)

ფასი 50 თეთრი

## სხვაბან ყველგან ხელს ანძრევინ ვაა?! ერევანში ანრი მიხეილს დვაცაბ ტიშის აძლევინ

ისე მოხდა, რომ გუშინ ერთდროულად რამდენიმე ნაკრებს დაუნიშნეს ახალი მწვრთნელი და ხელმოწერილ კონტრაქტებს ახსნა-განმარტებაც მიაცილეს, ამა და ამ დამსახურებათა გამო ვინმე ვინაა.

რა გასაკვირია, რომ ამან ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის ქართული პრინციპი გაგვახსენა. როცა ფედერაციამ ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებში დააბრუნა, ასეთი არგუმენტები ჰქონდა: კარგ უცხოელ მწვრთნელს ჩვენი ჯიბე ვერ გასწვდება და თან გამოცდილი სპეციალისტები საქართველოშიც არიანო.

გამოცდილებისა რა მოგახსენოთ, ისე, საინტერესო უნდა იყოს, მაინც რამდენს ითხოვენ კარგი უცხოელი მწვრთნელები.

აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც სვენ გორან ერიკსონის მილიონები დავითვალოთ, საქმის მკოდნე ხალხის პოვნა უფრო იაფადაც შეიძლება. მაგალითად, როგორც ლემური ტუნისის ნაკრებში მუშაობას თვეში 21 ათას ევროდ დათანხმდა. გუშინ კი ერევანიდან ცნობა მოვიდა, რომ სომხები არგენტინელი ოსკარ ლოპესის ნაცვლად ანრი მიხეილს ეპატივებინანო. მიხეილსაც დაახლოებით იმდენს სთავაზობენ, რამდენსაც ტუნისელები ლემურს უხდიან. რა გამოდის? ის, რომ ლემურის და მიხეილის დონის მწვრთნელის წლიური ხელფასი დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც საქართველოს ნაკრების ერთკვირიანი გერმანული შეკრება დაჯდა შევიცარიასთან მატჩის წინ. მოდით, ფედერაციას ნულარ გავახსენებთ, რა შედეგი მოიტანა იმ შეკრებამ.



ბადრი კაშილაძის ფოტო

და ერთი საინტერესო და, ვინძლო, ყურადღაღები მაგალითიც. მოგეხსენებათ, ჩვენი მეტოქე ირლანდიელები ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან. იტალიურები ასეთ გზას დაადგნენ: კანდიდატურათა შერჩევა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ბრაიან ჰამილტონს დაავალეს, ანუ

ისეთ პიროვნებას, რომელმაც ასოციაციის ჩინოვნიკებზე უკეთ იცის მწვრთნელობის ავანჩავენი. ჰამილტონმა გუშინ წარუდგინა ირლანდიელებს თავისი სია — ცხადია, თითოეული კანდიდატურის სასარგებლო დასაბუთებული არგუმენტებით.



REUTERS მელბურნიდან

მარკ ფილიპუსისი



## პრიჩაფანს რაკეტა მოსვდა



ავსტრალიის ღია პირველობის მესამე დღემ განთესილთა ამქარს კიდევ თორმეტი ჩოგანი მოაკლო. ოტებულთა შორის მოხვდნენ 1999 წლის ჩემპიონი რუსი ევგენი კაფელნიკოვი, 1997 წლის ფინალისტი ესპანელი კარლოს მოია და მსოფლიო ჩოგბურთის მზარდი ტალანტი, ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანიც. თუკი კაფელნიკოვისა და მოიას მგვემელთა გვარი ჩოგბურთის ტრფიალთ არაფერს ეუბნება, პარადორნის დამჩაგრაფი დასტურ ცნობილი ვინმე გახლავთ — საჩოგნეთის ერთი ყველაზე მეყუმბარე კაცი, ძალა-ფეფექტურობისთვის რაკეტა „სკადს“ შედარებული მეღბურნელი მარკ ფილიპუსისი, ვინაც დიდ სარბიელზე დაბრუნებას მუხლზე გადატანილი, ვინ იცის, უკვე მერამდენე ოპერაციის შემდეგ ცდილობს.

იხილეთ შეცამეტე გვერდი

# მეზობელ მეზოლს შებრუნდი მეზობელი მიუბრუნდა ირლანდია ახალ სახელს ელოდება



ბრაიან ჰამილტონმა ირლანდიელებს ბრაიან რობსონი ურჩია

## ირლანდია

**როგორც კი** მიკ მაკარტიმ ირლანდიის ნაკრებზე უარი თქვა, ფეხბურთის ასოციაციას თავსატეხი გაუჩნდა. უთავოდ დარჩენილ გუნდს მწვრთნელი ჯერ ვერ გამოუნახეს, მაგრამ კანდიდატთა წრე დაიწყო.

მწვრთნელების მოსაძიებლად ირლანდიელებმა მეზობელ ჩრდილოელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი ბრაიან ჰამილტონი დაიქირავეს. დაქირავებულმა ნახევარი ზამთარი იმუშავა და მონაგარი ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ბოსებს მიართვა.

ჰამილტონმა ვერჯერობით საჯაროდ არ გაამხილა, თუ რომელი კანდიდატები შეარჩია. მისი თქმით, წუსხაში მხოლოდ ისეთი სპეციალისტების გვარება, რომელთა მალალი კვალიფიკაცია საჭიროა ცნობილი. გვარებს თან ახლავს კანდიდატთა შესახებ ინფორმაცია, რომელიც უკვე ირლანდიელთა ასაწონ-დასაწონი და გადასაწყვეტია.

ცხადია, იქაურ პრესაში მკითხაობა

დაიწყეს. ფეხბურთად ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ ბრაიან კერის მიმართ მათგან ბუქმეიკერმა პული პოვერმა, კერის შანსები ციფრებში გადაიყვანა 7/4-ზე შეაფასა.

მას კვალში უდგანან ბრაიან რობსონი და ჯონ ბარლი (7/2), შემდეგ კი მოლიან ჯონ ოლდრიჯი (4/1), პიტერ რილი (6/1) და კენი დალგლიში (8/1). ეს ის საღვინოა, რომლებსაც პული პოვერის აზრით, შანსი აქვთ, ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ადგილი შეიკავონ.

ბრაიან ჰამილტონმა ისიც თქვა, რომ ახალი მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ალბათ, რთი კინის დაბრუნება იქნება. შეგახსენებთ, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ კინმა ბრძანა, სანამ მაკარტი არ მოშორდება, გუნდში არ დაებრუნდები.

საჯაროდ, ახალი კაცის სახელი იანერის ბოლოს გახდება ცნობილი, რადგან გუნდს 12 თებერვალს ამხანაგური მატჩი ელის.

გაბა ხუციშვილი

# კარნავალში სანთალბოდ 32 შეკრიბა



**ჯანი კარნავალი** და „ვიტ ჯორჯია“ საგაზაფხულო ეტაპისთვის ვერჯერობით თბილისში ემზადებიან. იტალიელი აქამდე დღეში ერთხელ წვრთნიდა შეგირდებს, ხვალედა კი ორჯერადი ვარჯიშები დაიწყება.

საღმისოდ ვიტელებს ძირითადის ორი ფეხბურთელი აკლიათ. ფეხმალის ფორვარდი გიორგი ადამია და ნახევარმცველი დავით ქოქიაშვილი ჯერაც კი ევის „დინამოში“ ისინჯებიან. უკრაინული გრანდის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ახალგაზრდა ვიტელებს ნიჭიერი და პერსპექტიული ბიჭები კი უწოდა, მაგრამ იქვე დასძინა — კიდევ დავაკვირდებით და მათ საკითხს მერე გადავწყვეტთ.

ვიტე ადამიას და ქოქიაშვილს კი ეკვიპა გამოცდებს უწყობენ, „ვიტ ჯორჯიაში“ მატებაა, რუსთაყვის „გორდალან“ დავით ზაზაშვილი და ლამა ალადაშვილი შეუერთდით. თსუ-დან პაატა დათუნაშვილი, ხოლო ფარმ-კლუბიდან დავით ლომია, გიორგი იმედაშვილი, ირაკლი მალიჩავა და ოთარ მარცვალიაძე.

ვეტერინარები 31 იანვარს ანთალიას მიაშურებენ და 15 თებერვალამდე იქ მოემზადებიან. კარნავალის თურქულ შეკრებაზე წასაყენ ფეხბურთელოთა საჯერ არ გამოუქვეყნებია, თუმც ის კი ცნობილია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ საანთალიო დელეგაცია 32-კაციანი იქნება.

ჯანი კარნავალი

გაბა ხუციშვილი



REUTERS მონპელიე

მონპელიე — ნიცა. ევერსონ პერეირამ (მარჯვნივ) მასპინძელი სეზასტიან მიხალოვსკი ბურთს არ გააყარა



REUTERS ბელგრადი

პარტიზანი — ოლიმპიკოსი. ბერტენა დემარკო ჟონსონმა ბურთი ისე ჩაბლუჯა, ნენად კრსტიან შანსიც არ დაუტოვა

**იტალია**

სერიას C1/B  
გადაღებული მატჩი  
კროტონე 2:0 ტარაგო  
თასის 1/4 ფინალი  
პირველი მატჩები  
ლავიო 2:1 ბარი  
იუვენტუსი 1:2 პარუჯა

**ინგლისი**

ასოციაციის თასი  
1/32 ფინალი: გადათამაშება  
თოვენტრი 3:0 კარლიზი

**ესპანეთი**

თასის 1/8 ფინალი  
საასუსო მატჩები  
ალავესი 1:2 მურსია (0:0)  
ოსასუნა 1:1 უნიონი (4:0)  
დემარტიკო 4:1 ალიკანტა (1:1)  
ატლეტიკო 3:0 სეარსი (1:0)  
უელვა 1:0 ბატისი (0:0)  
სევილია 2:1 ნუვასია (3:1)  
ვალენსია 1:4 მალიორკა (2:2)

**საფრანგეთი**

პირველი დივიზიონი  
XXII ტური

სოშო 0:0 მონაპო  
გასტია 2:0 ლიონი  
გენგამი 0:2 მონარი  
მონაპლიე 2:2 ნიცა  
ჰეს 1:0 ლე ავრი  
სეაანი 1:1 აიანო

ლანსი — ნანტი გადაიდო  
სტრასბური — ბორდო გადაიდო  
ტრუა — ლილი გადაიდო

**საბერძნეთი**

თასის 1/8 ფინალი  
საასუსო მატჩები  
იონიკოსი 1:1 პანიონიოსი (0:1)  
პანათინაიკოსი 3:0 აკრატოსი (1:0)

**პორტუგალია**

თასის V ეტაპი  
ფარიირა 1:0 მონდოზარი  
პრეტუ 2:1 შილ ვინანტა

**უოტლანდია**

ასოციაციის თასი  
1/32 ფინალი: გადათამაშება  
პამილტონი 1:1 ისტ ფაიფი

**მეორე დივიზიონი**  
XXI ტური

ლე ბანი 1:1 რიფსი  
ლორიანი 1:0 ისტრი  
ნიორი 1:0 ბრანოვლი  
ვალანსი 4:1 კლარმონი  
გოზე — ლავალი გადაიდო  
კანე — ნანსი გადაიდო  
კრეტი — შატორუ გადაიდო  
სენტ ეტიენი — ამიენი გადაიდო  
ვასკალი — ბენიონი გადაიდო

**ევროლიგა**  
პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 15 იანვარი

|  |  |
|--|--|
| <b>A ჯგუფი</b><br>ციგონა 71:100 პანატონი | <b>C ჯგუფი</b><br>პარტიზანი 81:71 ოლიმპიკოსი |
| <b>B ჯგუფი</b><br>ტაუ 103:86 ბუფონოსი    | სკაა 85:65 ვილარბანი                         |
| პანათინაიკოსი 64:56 სიენა                | ულთერი 85:84დ. (74:74) რეალი                 |
|  | შლიონსკი 80:72 კინდარი                       |



# წიგაიშვილმა კუნძულზე გაფრთხილება მიაკითხა მენტაშვილმა საბჭო დააჯარა

პროვნილი ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ფოტოს „კოლხეთი“ ორმა შემტევმა დატოვა — კლიმენტი წიგაიშვილი და



კლიმენტი წიგაიშვილი

ბორის გონჩაროვი ბედის საძიებლად კვიპროსს გაემართნენ. კოლხთა თქმით, ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო ქართველთა ერთ-ერთი კვიპროსულ გუნდში მოწყობა, თუმცა წიგაიშვილის და გონჩაროვის გზები კუნძულზე გაიყარა. გონჩაროვის მომავალი ვერაფრით გაურკვეველია, წიგაიშვილმა კი კვიპროსზე მოსამზადებლად ჩასულ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ მიაკითხა. გუნდის რუსთოველმა მწვრთნელმა იური გამულმა ქართველი სხვა ახალწვეულებთან ერთად ორიოდე დღის წინ საქმეშიც ნახა.

წიგაიშვილმა „ჩერნომორეცს“ შემადგენლობაში ითამაშა კვიპროსზევე მყოფ „სპარტაკ-ალანის“ წინააღმდეგ და, როგორც ლარნაკაში მყოფი რუსი მიმომხილველები ირწმუნებიან, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე წიგაიშვილი მკორე ტაიმიდან ჩაერთო მატჩში, როდესაც „ჩერნომორეცს“ 0:1-ს აგებდა და შეიღწეოდა მისმა აქტიურობამ პენალტი მოუტანა ნოვოროსიისკელებს — გარინმა ქართველს გარჯა დაუფასა და მისი შედეგიანი დარტყმის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. მატჩის შემდეგ უხასიათოდ მყოფმა იური გამულმა (მისი საცხოვრებელი სახლის დაცვაზე რუსთოველმა ქურდებმა იზრუნეს) საგანგებოდ აღნიშნა წიგაიშვილის თამაში, ქართველ თავდამსხმელს კიდევ დაეკვირვებით და თუკი დაეკარწყუნა თავის შესაძლებლობებში, ჩვენ ურთიერთობას კონტრაქტით გავაყარებთო, თქვა მწვრთნელმა.

წიგაიშვილს გუშინწინდელ მატჩში ძველი ნაცნობები დაუპირისპირდნენ — „სპარტაკ-ალანის“ თოღუამ, მენტაშვილმა და ამვეთამ შეუცვლელად ითამაშეს.

უკვე გადაწყვეტილია მენტაშვილის და მიხლოასის ვლადიკავკაზურ გუნდში გადასვლა. ამის შესახებ თავად რევაზ ძიძუაშვილმა განაცხადა. მართალია, მენტაშვილის და მიხლოასის გუნდთან კონტრაქტი ვერ არ გაუფორმებიათ, მაგრამ ისინი უეჭველად ჩვენთან ითამაშებენ. კლუბის ხელმძღვანელთა ძალისხმევით მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. მენტაშვილის და მიხლოასის კანდიდატურები მწვრთნელთა საბჭომაც მიიწონა, ახალწვეულებთან კონტრაქტს რამდენიმე დღეში გავაფორმებთ — თქვა ძიძუაშვილმა.

საბოლოოდ გამოირიცხა ძიძუაშვილის და ბახვა თედევის თანამშრომლობა. წინასწარი ინფორმაციით, თედევს ძიძუაშვილის ასისტენტობა უნდა გაეწია, მაგრამ გუნდში გაირკვა, რომ „სპარტაკ-ალანის“ ძიძუაშვილის დამხმარე ალექსანდრ იანოვსკი იქნება. თედევსი ამბიციური, ნიჭიერი კაცია, შესანიშნავი ფეხბურთელი იყო და კარგი მწვრთნელიც დადგება, ოღონდ სამისოდ მას პრაქტიკა სჭირდება. თუმცა მის ამბიციას მკორე მწვრთნელად მუშაობა ვერ დააკმაყოფილებდა, ამიტომაც გამოირიცხა ჩვენი თანამშრომლობა — განაცხადა ძიძუაშვილმა.

„სპარტაკ-ალანის“ ქართველ თავაჯც ავაგვის ტრავმამ ცენტრალური მცველის პრობლემა შეუქმნა. ავაგვმა მენისკს გამოჰკრა ზელი და კარგა ხანს ჩამოშორდება გუნდს. ამასთან დაკავშირებით ძიძუაშვილმა გუნდში სახალხოვად განაცხადა, კარგ ცენტრალურ მცველს ვეძებ და ვისაც თავის იმედი აქვს, მოვიდეს, საქმეში გამოვცდით.

ეჭვგარეშეა, ამ ცნობით საქართველოშიც ბევრი დაინტერესდება.

ბაბა ზალაგბერიძე




ვალტერ გუშია

## უბელის გუშია ბოტკინმა წაართვა

უბელის გუშია — მომუშაველი ტრავმის შემდეგ ვარჯიში განახლებულიც არ ჰქონდა, რომ ბოტკინი აღმოჩნდა. „ბოტკინი“ მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ შტეინის იმედს ისევ ცივი წყალი გადასხა საგარეოდ ვალტერ გუშია სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს. ამგვარად, ჩემპიონობისთვის მებრძოლ იმერლებს კიდევ ერთი სერიოზული ძალა გამოაკლდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ დღეს „ტორპედო“ თბილისში „მერანი-ოლიმპთან“ ბოლო ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მოსკოვში წასვლამდე ქუთათურები ღამესაც დედაქალაქში გაათევნენ, ზვალ დილით კი თანამგობრობის თასზე სათამაშოდ ცივი რუსეთს მიაშურებენ.

ბაბა ზალაგბერიძე



ზურაბ მენტაშვილი


## სამმა ქართველმა ტრავმაში ბოტკინის ტრავმაზე დატოვა

მართლმადიდებლური შობის მკორე დღეს სიმფეროპოლის „ტავრიაში“ „ბოტკინი“ თურქულ კურორტ ანთალიას მიაშურა საწვრთნელი შეკრების გასაკვლად. მწვრთნელებმა თურქეთში 23 ფეხბურთელი იახლეს, რომელთაგან უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში მხოლოდ 16 იცავდა სიმფეროპოლური კლუბის ღირსებას. სამწუხაროდ, ამ სიაში ვერ მოხვდა ქართველი ნახევარმცველი გოზა ტრავაძე. ბოლო წლებში, ჩვენებური „ტავრიასთვის“ იზარებოდა, ამ სეზონში კი სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა მოედანზე. როგორც ჩანს, ამას წერტილი ახლა დაესვა — გოზა ტრავაძე კლუბმა აღარ ისურვა და ქართველ ფეხბურთელსაც სხვა გუნდის პოვნა მოუწყეს.

ნატის პირველ ეტაპზე „ბათუმის“ მკორე ამიერიდან სწორედ სიმფეროპოლელითა კარს დაიკავს. გუნდში დაბრუნდა ლიდერი ვახილ გეგაძეც. მართალია, მას შანსი ჰქონდა, ამბიციურ კივივს „არსენალში“ გადასულიყო, მაგრამ დედაქალაქელებმა სატრანსფერო თანხის გადახდა ვერ შეძლეს და ის სეზონის ბოლომდე ალბათ, ისევ „ტავრიაში“ იბურთავებს. მესამე ჩვენებური კი წნორის „მილანის“ ნიჭიერი შუახელი გიორგი ქარაგია. მისი საკითხი ვერაუც გაურკვეველია, თუმცა საგარეოდ, სიმფეროპოლელი მასაც შეიძლება ტყუილ შემთხვევაში, ქარაგია უკვე კარგა ხანია, „ტავრიაში“ ვარჯიშობს და მწვრთნელებსაც აუცილებლად დასცდენიათ.

„ტავრია“ თურქეთში 23 იანვრამდე ივარჯიშებს და მკორე სამშობლოში დაბრუნდება, ოთხდღიანი შესვენების შემდეგ კი ისევ თურქული შეკრება იქნება. სწორედ ამ დროს გაირკვევა გუნდში დამჩნენთა ვინაობა.

ბაბა ზალაგბერიძე



გოზა ტრავაძე

## ფილიამ სნობილი უსნობი გაამხილა

ფილიამ „კოლხეთი“ კიდევ ორმა ფეხბურთელმა დატოვა — გიორგი გაბილაური და ვალერი გაგუა გუნდიდან წავიდნენ. კოლხთა მთავარ მწვრთნელ სოსო ფილიას თქმით, გაბილაურის ასაკულ-დასავალი მისთვის უცნობია, გაგუას კი მინსკის „დინამოს“ ვარიანტი გამოუჩნდა და მალე ბელარუსს მიაშურებს. თუ ბელარუსებმა ქართველი მიიწონეს, დაიტოვებენ კიდევ წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის „კოლხეთის“ კარი ღიაა, გვიტხრა გუნდის ფილიამ.

ზუსტად ვერ ვთქვით, მაგრამ მკორე მისი შემატება ვერ შეეძლებოდა. არადა, ამხანაგურ მატჩშიც გავესინჯეთ. მეტს ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა, ასეთი რამ ახლაც მოხდეს ბულგარულ შეკრებაზე იქ საქმიანი კონტაქტები გვაქვს და თუ ვინმე მოგვეწონა, შევეცდებით, გადმოვიბიროთ.


ამჟამად ფოთელები მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობენ. მწვრთნელის განკარგულებაში სულ 37 ფეხბურთელია.

საკმაოდ ბევრი ფეხბურთელია სინჯებზე მათ ბელარუსური მატჩების შემდეგ გადაწყვეტ — ესეც ფილიას სიტყვებია.

საკონტროლო მატჩებისთვის მეტოქეები კი კოლხებს უკვე შეუგულებელია. ზვალ „კოლხეთი“ პირველივე თბილისის „ლოკოს“ გაეჯიბრება, მკორე კი „ბათუმთან“ ითამაშებს ორჯერ.

ოთხი სერიოზული ძალის ფეხბურთელის გაშვებამ ზღვისპირელითა თავკაცი შემადგენლობის გაძლიერებაზე დააფიქრა და, როგორც ჩანს, საამისოდ რეალური შანსიც აქვს.

ბაბა ზალაგბერიძე



სოსო ფილია





# გაზამ ჩინეთი ღაინასა



პოლ გესქოინს პეკინში ფურნალისტებიც დახვდნენ


**ჩინეთის** დედაქალაქ პეკინის აეროპორტში ბევრი ფურნალისტი დაუხვდა 35 წლის პოლ გესქოინს, რომელმაც დაადასტურა, რომ ერთ-ერთ ჩინურ კლუბში აპირებს თამაშს.

„ჯანზე ვარ და ფეხბურთსაც ვთამაშობ. მინდორიც მომენტარა“ — თქვა გაზამ, რომელსაც შარშანდელი გაზაფხულის შემდეგ გუნდურად აღარ უთამაშია. გესქოინის ბოლო კლუბი ინგლისის პირველი დივიზიონის „ბარნლი“ იყო. ჩინური „ლიაონინგ ბოდაოს“ თავმჯდომარემ კათ ჯუსუნმა დაადასტურა, რომ გესქოინთან ლაპარაკები პეკინში „ვერტონში“ მოთამაშე ჩინელის ლი ტაის აგენტის დახმარებით. ჩინეთში თამაშით თავად გაზა ყოფილა დაინტერესებული, ანუ თავი შეუთავაზებია კათ ჯუსუნისთვის.

მაგრამო, ამბობს თავმჯდომარე, გაზას ამბავი ვიცით, ვნახოთ როგორ შეეგუება ჩვენებურ წესებს და თამაშის მანერას, თუ მოიწონებს კონტრაქტსაც გაუფორმებთო. „ლიაონინგი“ შარშანდელამდე შენიანის გუნდი იყო, ახლა კი პეკინში თამაშობს. გუნდის სპონსორი ჩინური მობილური ტელეფონების კომპანია „გეიანი“ გახლავს. ახლა „ლიაონინგი“ სამხრეთის ერთ-ერთ კუნძულზე გადის ზამთრის შეკრებას და გაზაც იქეთ გაუყვება. ეს გუნდი სიმღერით პირველია ჩინეთში.

ამჟამად კი ის არის, რომ ლამის მთელი წელიწადია გესქოინი თავისი კარიერის აღდგენას ლაპობს. ამერიკის ლიგაში ჯანმრთელობის ტესტი ვერ გაიარა და ვაშინგტონიდან შინ დაბრუნდა, „ექსეტერის“ მოთამაშე მწვერთნელობა ვერ გადაწყვიტა, „ჯილინგემში“ ჩასვლა არ ისურვა და თქვა, ავსტრალიის ლიგაში მოთამაშე ზელანდიურ „ოკლენდ კინგზში“ უნდა გადავიდეთ და არ გადავიდა. ერთხანს ის

სამოყვარულო გუნდების თამაშის ესწრებოდა, მერე საჩვენებელი მატჩები ითამაშა ბერლიტში, რათა აგენტებისთვის თავი შეეთავაზებინა ჩინური ფურნალისტი თავად გაზარსა და თუ იქაურთა მოწონება, წელიწადში ნახევარ მილიონ გირვანქასაც მიიღებს. ამით ის უარს ეტყვის ერთ მალტურ კლუბს, რომელმაც კვირაში ორი ათასი შესთავაზა. მოკლედ, გაზა ძიებაშია.



# კუპარმა კრესპო გაპოიტირა

## ინტარს არგანბინელის გოლბი მოახლდა

**გილანის** „ინტარის“ არგენტინელი მეგობლე ერნან კრესპო ორთვენახვერის განმავლობაში ვერ ინაუარლებს მინდორზე მან იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში საზარდული დაიხიანა, როცა „ნეო აბურიმ“ „სან სიროზე“ „მოდენა“ დაამარცხა არგენტინელმა საბედისწერო 3-ე წუთამდე გოლის გატანა მოახერხა და ასე დაემშვიდობა გაზაფხულამდე გულშემატკიერებს. პირველადი შემოწმების შემდეგ ექიმები ვარაუდობდნენ, რომ კრესპო სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებდა თამაშს, თუმცა საფუძვლიანმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ფორგარდი აპრილის დასაწყისში უკვე მწყობრში იქნება. კრესპოს ტრავმამ ექტორ რაულ კუპერი ერთობ დაამწუხრა და ათქმევინა, ესოდენ საჭირო ფეხბურთელის დაკარგვა ნებისმიერი გუნდისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდესო. ასე რომ, მილანელებს ჩემპიონთა ლიგის მერევე ჯგუფური ეტაპის ჩამთავრება სამხრეთამერიკელის გარეშე მოუწევთ, არადა კრესპოს რვა სალიგო მატჩში 9 გოლი შეუგდია. „ინტარის“ წინა ხაზი კრისტინ ვიერის არყოფნასაც შეუჭირვებია, თუმცა გრაიის ვირუსი მოურჩენია და უახლოეს უქმეებზე ელოდებიან მის გამოჩენას.



ერნან კრესპო ფეხზე გაზაფხულამდე ვერ დადგება

# იტალიელი ჯანფრანკო ძოლა

წლეულს ისე თამაშობს, 36 წლის, ბებერი ვეტერანიაო, ვერავინ იტყვის, ლონდონური „ჩელსი“ პრემიერლიგაში რომ მესამეა და ჩემპიონობისთვის იბრძვის, ამ ჩია იტალიელსაც მიუძღვის წვლილი.

ძელი სათქმელია, რას მოიგებს წლეულს კლადიო რანჩიერის მართლაც რომ სიმპათიური გუნდი, მაგრამ ძოლამ რომ ტიტული უკვე მოიგო, ფაქტია.

ამ დღეებში, ლონდონის არისტოკრატთა უბანში, რომელსაც სწორედ ჩელსი ჰქვია, გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხვაში საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ დაახლოებით ოცი ათასამდე ფანმა მიიღო მონაწილეობა — ვინ არის გუნდის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი?

ჯანფრანკო ძოლა! ჭომავთა 60-მა პროცენტმა სწორედ იტალიელი აღიარა. 36 წლის ფეხბურთელმა ისეთი ვარსკვლავები დაჯანა, თავის დროზე „ჩელსისთვის“ დიდება რომ მოუტანიათ: პიტერ ოზგუდი, დენის უაიზი, რუუდ გულიტი და ჯანლუკა ვიალი.

გიორგი გუზაბიძე

# რა თქმა უნდა, ძოლა!



# რუნი ინგლისს სჭირდება

**უინ რუნი**ზე ბევრს ლაპარაკობენ. ლივერპულის „ვეერტონის“ ამ 17 წლის უნდერკინდმა არა მარტო ალბიონი, არამედ მთელი მსოფლიო დაამარცხა. პოლა, რა გასაკვირია, რომ რუნის პატივი დასდეს და ინგლისის ნაკრებში მიიწვიეს, ოღონდ ჯერჯერობით ჭაბუკთა გუნდში.

მიიწვიეს და... სკანდალიც ავორდა. საქმე კი ისაა, რომ ინგლისის ჭაბუკთა ნაკრები ერთიანი ტურნეზე მიემგზავრება არაბეთის გაერთიანებულ სამეფოში, წამსვლელთა შორის ყმაწვილი რუნცაა.

თითქოსდა, რა უნდა იყოს სასკანდალო? ის, რომ ტურნეზე თავისი ვარსკვლავის გაშვების წინააღმდეგია თავად „ვეერტონი“.

ლივერპულელებმა ფეხბურთის ასოციაციის თხოვნით მიმართეს, პრემიერლიგაში გადამწყვეტი მატჩების ფაზა დგება და რუნი გვჭირდებაო. ასოციაცია კი თავისაზე ღვას. საქმე ქვეყნის ნაკრებს ეხება და ყველას ვალია პირნათლად მოიხადოსო. ერთი სიტყვით, ასოციაცია და „ვეერტონი“ დავობენ. საკითხი ფიფას ყურადღე მისულა და მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია, თურმე თავად აპირებს დავაში ჩარევას.

ფიფა, ცხადია, თავისი დებულების წინააღმდეგ არ წავა და თავისი წევრი ქვეყნის ასოციაციას დაუჭერს მხარს, ანუ რა ულის უინ რუნის? დისკვალიფიკაციით, გვარწმუნებენ ჩინოვნიკები.


გიორგი გუზაბიძე



უინ რუნი „ვეერტონს“ ნაყრებისთვის არ ეთმობა

# ქალბან ვერაბია

## ლუის ენრიკე რონალდოს ემსგავსება



„ბარსელონაში“ ასეთი ამბავია: კაპიტანი ლუის ენრიკე, რომლის მომჯობინებასაც ამ დღეებში ელოდნენ, ისევ სამკურნალოა და სულ მცირე, ოთხი კვირა ვერ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს 26 ოქტომბრის მერე („ბარსელონაში“ „ალავესს“ 6:1 მოუგო) არ უთამაშია და აქილევის მყესს მკურნალობს.

„ძალიან ვერაგი ტრავმა — თქვა კლუბის ექიმმა რამონ კუატიმა — თავის დროზე რონალდოს პრობლემებიც მყესებიდან დაიწყო და მერე თანდათან სხვა ადგილებზე გადაუვიდა“.

მიუხედავად ექიმის ასეთი სიფრთხილისა, კლუბში ფიქრობენ, რომ ლუის ენრიკე 18 თებერვლისთვის მომჯობინდება და ჩემპიონთა ლიგაში „ინტარის“ წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

**რეკლამა - სარბიელ - ში**  
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

















აქსენტო გიორგაძე

# კლოდ სორელი თელასია?

## ჩააქრობს თუ არა

### ბიორობადის პარსახვლავს?

კონტინენტის უპრესტიჟოესი სარაგბო ტურნირი „ექსიერი“ და მისი „უმცროსი ძმა“ ევროპის ერთა თასი, რომელშიც საქართველოს ნაკრები მონაწილეობს, ერთდროულად, ერთ დღეს, 15 თებერვალს დაიწყება. ერთი კვირით ადრე კი, მთებერვალს იტალიაში ერთობ სასიერო მატჩია — ტრევიზოში „სკუადრა აძურა“ იტა-

ლიაში მოთამაშე ლეგიონერთა ნაკრებს დაუპირისპირდება. ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ ლეგიონერთა 26-კაციან შემადგენლობაში ბორჯღალოსანთა და „როვიგოს“ მორკინალი აქვსენტი გიორგაძე მოხვდა. „როვიგოს“ მეორე ქართველი ილია ზედგინიძეს კი ცოტა დააკლდა საოლსტარო კანდიდატებში გასარეგადედულია, მხოლოდ არაპრესტიჟული ადგილებია დარჩენილი. ერთი ვაა, შეიძლება მე ვერ ვითამაშო და ამ სანახობას დაეკლდე.

— რა მიზეზით?  
— მართალია, ამის მქირე შანსია, მაგრამ მინც, საქმე ისაა, რომ მატჩის დღეს, 8 თებერვალს საქართველოს ნაკრები საფრანგეთში შეკრებას იწყებს. იცით, ექვსი ერის პარალელურად ევროპის ერთა თასიც იწყება და 15 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიასთან გვიწევს პირველი მატჩი. პოდა, ჩვენც საპორტუგალიო მზადებას ვიწყებთ. ასე რომ, რვაში საფრანგეთში უნდა ჩავფინდებ თუ კლოდ სორელმა არ გამათავისუფლა ერთი დღით.

— სორელს უკვე ელაპარაკე?  
— ჯერ არა იცის, რომ საოლსტარო შემადგენლობაში მოხვდის და თუ გათავისუფლება უნდა, თვითონ შეეხებინება. ისე არა მგონია, უარი მითხრას, მაგრამ დაზუსტებით ჯერ არაფერი ვიცი. ჩემთვის საქართველოს ნაკრების ინტერესები მთავარია და როგორც ნაკრებს დასჭირდება, ისე მოვიქცევი.

### ავტორბოლა

# სამსურაის მსახური სვლით ბაიროზგება

## ტოიოტა

გუნდი დაარსდა 2000 წელს პრაიზიზმენტში: ოვე ანდერსონი მთავარი მონსტრუმტორი: გუსტაფ ბრიუნერი ბოლიდი: „ტოიოტა TF103“ (სიგრძე 4,5მ; სიგანე 1,42მ; სიმაღლე 0,95მ) ძრავა: „ტოიოტა RVX-03“ საპრაიზმენტი: „მილენ პილოტი“ ფორმულა 1-ში ასპარეზობს 2002 წლიდან 17 რბოლა: 2 ქულა: X ადგილი ტესტ-პილოტები: რიკარდო ზონტა (ბრაზილია) და რაიან ბრისკო (ავსტრალია)

9 მარტს მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება ფორმულა 1-ის მორიგი, 54-ე ჩემპიონატი. 16-ეტაპიან მართონში ათი გუნდი ჩაებდება, შარშანდელზე ერთით ნაკლები. გაკოტრების პირას მდგარმა „ეროუსმა“ როგორც იქნა, გადამრჩენი იშოვა და 2003 წლისთვის სამონაწილო თანხა განაცხადთან ერთად საერთაშორისო სავაჭრო-მობილო ფედერაციას დროულადაც აახლა, მაგრამ ბოსეებმა „ნარინჯისფრებს“ გასულ სეზონში ბოლო ხუთი რბოლის გამოტოვება არ აპატიეს და ჩემპიონატი მონაწილეობაზე უარი უთხრეს.

ყველაზე ახალგაზრდა საფორმულო გუნდის დამდეგი სეზონი მხოლოდ მეორე იქნება. ტოიოტელები შარშანდელი სადებიუტო გამოსვლით უკმაყოფილოები არ უნდა იყვნენ: უქულოდ არ დარჩენილან, თანაც თავიანთ უმთავრეს მიზანს მიადღეს — უმაღლეს ღონეზე რბოლის გამოცდილება შეიძინეს და ბოლიდით თანდათან ფეხზე დააყენეს. „პანასონიკ-ტოიოტას“ ლიდერ მიკა სალოს ჩემპიონატის პირველ ნახევარში მანქანა ყოველ მეორე რბოლაში უფუკლებოდა, ბოლო ექვს ეტაპზე კი ერთხელაც აღარ გაოჩნებულა.

შარშანდელი შემადგენლობა უცვლელად შეინარჩუნა ნამყვანმა სამეულმა — „ფერარიმ“ (მიხაელ შუმხერი, რუბენს ბარიკელო), „უილიამსმა“ (რალფ შუმხერი, ხუან პაბლო მონტოია), „მაკლარენმა“ (დევიდ კულჰარდი, კიმი რაიკონენი). „ხალბერმა“, „ჯორდანმა“, „რენომ“ და BAR-მა თითო პილოტი შეცვალეს, ხოლო „იაგუარმა“, „ტიოტომ“ და „მინარდიმ“ ორივე დაითხოვეს სამსახურიდან.


ისევე, როგორც შარშან, ყველაზე ადრე საფორმულო საზოგადოებას თავისი ახალი წყვილი და ახალი ბოლიდი „ტიოტომ“ წარუდგინა

და მინც, იაპონური კონცერნის ხელმძღვანელობამ თავისი პილოტების საქმიანობა უარყოფითად შეაფასა და სალოც და აღარ მკინშიც გუნდიდან დაითხოვა. არადა, ვეტერან სალოს კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა ერბოლა, მაგრამ შეფობამ ხელშეკრულების დარღვევა ინება, თუმც კომპენსაციის სახით მიკას ვადის გასვლამდე კუთვნილ ხელფასს გადაუხდის.


განახლებული საჯინბოს სახელით წლეულს ირბოლებენ მობერებელი ფრანგი ოლივიე პანი და ოცდაათს მიტანებული ბრაზილიელი დებიუტანტი კრისტიანო და მატა. ეს უკანასკნელი სამეფო რბოლებისთვისაა ახალბედა, თორემ უკვე ხუთი წელია, ამერიკულ „კარტში“ ასპარეზობს და შარშან ჩემპიონობაც მოიპოვა. ევროპაში და მატას გადმობარგებაზე ხმები ზაფხულის დღიდან კი დადიოდა, მაგრამ კარგა ხანს წელს ითრევადა, რადგან იაპონელები თავიდან ტესტ-დრაივერობას სთავაზობდნენ. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა და საუკეთესო მეკარტემ ძირითად შემადგენლობაში დიკაკა ადგილი.

კონსტრუქციაშიც, ცხადია, საკმაოდაა ცვლილებები. შეგახსენებთ, რომ „ფერარის“ და „რენოს“ მსგავსად, „ტიოტაც“ საკუთარი წარმოების ძრავებს იყენებს. პილოტებმა პროგნოზისგან თავი შეიკავეს. და მატამ მხოლოდ ის თქვა, საფორმულო ბოლიდის მართვა უდიდესი სიამოვნება ყოფილა და ვეცდები, წარმატებას მივაღწიო.


სამომავლო გეგმებზე უფრო ვრცელად ილაპარაკა იაპონური საჯინბოს შევდმა შეფმა ოვე ანდერსონმა: „ჩვენ ახალბედეები აღარ ვართ, ამიტომ 2003 წელს უფრო დიდი ამოცანა გვაქვს — რაც შეიძლება მეტი ქულის დაგროვება, მით უმეტეს, რომ ჩათვლას უკვე რვა ადგილი იძლევა. ეს ამბიციური მიზანია, მაგრამ რაკი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ავტომწარმოებელს წარმოვადგენთ, ბუნებრივია, შედეგსაც მადალს მოითხოვენ. ვეცდებით, ყოველ რბოლაში ჩასათვლელ რვაინში ვიყოთ“.




ახალი „ტოიოტა“ ახალი ტანდემით ოლივიე პანი (მარცხნივ) და კრისტიანო და მატა



**ოლივიე პანი**  
საფრანგეთი  
დაიბადა 1966 წლის 2 სექტემბერს ლიონში. ცხოვრობს გრენობლში ცელსვილიანს. სიმაღლე 173 სმ; წონა 76 კგ. დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994). პირველი გამარჯვება: მონაკის დიდი პრიზი (1996). 125 რბოლა: 1 მოგება; 64 ქულა ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი: მეორე ადგილი (1995). 2002 წელს დაიკავა მე-14 ადგილი (3 ქულა). ასპარეზობდა „ლიჯიუში“ (1994-96), „პრისტში“ (1997-99), BAR-ში (2001-02).



**კრისტიანო და მატა**  
ბრაზილია  
დაიბადა 1973 წლის 19 სექტემბერს ბელუ ორისონტეში. უცხოელი სიმაღლე 162 სმ; წონა 59 კგ. 2002 წლის „კარტის“ ჩემპიონი ფორმულა 1-ის დებიუტანტი







# ჩირაქის სანახაპად

საბურძნეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტას სიმითისმა (მარცხნივ) ამ დღეებში ათენს ჩასული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი უაკ როგი (შუაში) და ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი იანა ანგელოპულუსი მიიღო. როგი 2004 წლის ოლიმპიადისთვის მზადყოფნას შეამოწმებს და ოლიმპიური ჩირაქის საპრეზენტაციასაც დაესწრება.



# ბიჭი მოსწონს

ეს ბიჭი მოდაში შემოდის. ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი ავტოგრაფებს არიგებს მეღბურნის კორტზე, სადაც ეს წუთია, ჩეხი ირუი ვანეკი დაამარცხა ავსტრალიის ღია პირველობის მატჩში.



# დაიბნა

ტოკიოში საბჭოს (ეპკ) მსუბუქი წონის საჩემპიონო ჩხუბი გაიმართა. „კორაკუნ ჰოლში“ ტაილანდელმა ჩემპიონმა სირიმონგკოლ სინგმანასკმა (მარცხნივ) მსაჯთა ერთხმა გადაწყვეტილებით აჯობა სამხრეთკორეულ ჩოი იუნგ-სუს და ჩემპიონის ქაბარიც დაიკვა.



# ჩრდილოამერიკული სეკსები

ჩრდილოეთ ამერიკაში ფიგურული სრიალის ერთგული ჩემპიონატები ვახურებულა. ამერიკაში შეჯიბრს დაღაბის მასპინძლობს და, ცხადია, იქ არის ოლიმპიური ჩემპიონი სარა პიუზი (მარცხნივ) თავის მწვრთნელ რობინ ვაგნერთან ერთად, რომლებსაც ეს შეჯიბრი მღერად უჩანთ. კანადის ერთგული ჩემპიონატის მასპინძელი კი სასკატუნია. ყინულზე ცეკვის ჩემპიონი იქ სწორედ ეს წყვილი, შეი ლინ ბარნი და ვიქტორ კრააცი შეიქნენ.

**სარბიელი**  
საორტული გაზაფხულის  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამომცემი: სამშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი: ზურაბ ჯორჯაძე  
ლიტერატორი: ბიორგი ოქროშაძე  
რედაქტორი: თამაზ მიმინიაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე: სოსო კოტორეიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: მამუკა ბუბაღაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თაყაიშვილი  
კობა ინასარიძე, მამუკა კვინიტაძე, პაატა კვინიტაძე, ვახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: რედაქტორი ბიორგი ღარჯანიძე  
გვი: ახლელდანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი  
კორესპონდენტი ქუთაისში: იუზა კაციტაძე  
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროაძე  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გორგობიანი, ლალი გოზალიაშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ვლენე გელუტაშვილი, თამაზ ვოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევამც ფატი დვალაშვილი, მაკა დორაშვილი, დავით კვაჭანტარაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზაგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი — 79, საზოგადოებრივი  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbili@gol.ge  
ელექტრონული მისამართი  
<http://www.sarbili.com.ge>